ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №618

ქ. ქუთაისი 10.12.2012 წელი

1. ერთი მხრივ, *შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია„* ს/კ 404391136 (შემდგომში- „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ტალონების აღრიცხვის ოპერატორის მაგდა სირბილაძეს სახით და, მეორეს ქ. ქუთაისის მერია (შემდგომში- „შემსყიდველი ორგანიზაცია") წარმოდგენილი მისი მერის ბესიკ ბრეგაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:
2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის ბენზინის (ევრო რეგულარი-93) და დიზელის (PPM 50 და ნაკლები) ნასყიდობა.
3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „შემსყიდველი ორგანიზაცია" შეისყიდის;
   ბენზინი (ევრო რეგულარი-92) – **2000** ლიტრი.
   დიზელი (PPM 50 და ნაკლები) **8000** ლიტრი.
4. <u>ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება:</u> ***21840***
   (ოცდაერთიათასრვაასორმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულების სავარაუდო მთლიანი ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით.
5. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მუხლი 2-ში დაფიქსირებული საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს „მიმწოდებლის" საცალო ქსელში დაფიქსირებულ ერთი ლიტრის ფასს მინუს *0.05* ლარი (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.
6. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიწოდებული საწვავის ღირებულება „შემსყიდველი ორგანიზაციის" მიერ სრულად ანაზღაურდება საწვავის ტალონების გადაცემის შესახებ მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
7. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.
8. <u>ხელშკრულების მოქმედების ვადა:</u> წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

9. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ და „მიმწოდებელი“ ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და „მიმწოდებლის“ საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.
10. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ „შემსყიდველზე“ გადადის ტალონების დაზიანების, განადგურებისა და დაკარგვის რისკი, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. „შემსყიდველზე“ გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა „შემსყიდველ ორგანიზაციას“, ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია“

ქ. ქუთაისის მერია
იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს/კ 212721170
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა.ა:33033303

ბ. ბრეგაძე

„მიმწოდებელი“

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის
რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22ანგარიშის
GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

მ.სირბილაძე